

შპს „კავკას მეტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. თვითღირებულება	11
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	11
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	11
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
10. ფინანსური შემოსავალი	12
11. ფინანსური ხარჯი	12
12. ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან.....	12
13. ძირითადი საშუალებები.....	13
14. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
17. სესხები.....	15
18. სავაჭრო ვალდებულებები	16
19. პირობითი ვალდებულებები.....	16
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	16
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	19
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კავკას მეტალის“ ხელმძღვანელობას და მეწილეებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „კავკას მეტალის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ შედეგებს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შპს „კავკას მეტალი“ ფლობს შპს „თანადგომა-1“-ის 100%-იან წილს 2016 წლის თებერვლიდან. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღში შპს „თანადგომა-1“-ს არ ჰქონდა აღიარებული ანარიცხი მიმდინარე სასამართლო დავებზე (შენიშვნა 19). მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ვალდებულების აღიარება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდება საბოლოო განაჩენი. მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ეს პირობითი ვალდებულება ექვემდებარება შეფასებას და ვალდებულების აღიარებას სტანდარტზე გადასვლის თარიღში. როგორც ეს აღნიშნულია მე-19 შენიშვნაში, სადაო საგანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საბალანსო ღირებულებით 646,358 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. პირობითი ვალდებულების აღიარების შედეგად, გუდვილი გაიზრდებოდა შესაბამისი თანხით, გუდვილი თავის მხრივ ექვემდებარება გაუფასურებაზე ტესტირებას მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული შეუსაბამობის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

ჯგუფმა გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტისა ზედამხედველობის სამსახურის სარეკომენდაციო მითითებით გათვალისწინებული მიდგომა 2019 წლის მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში და წარადგენს მხოლოდ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას რადგან სხვაობები ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-23 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მის ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

23 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.



სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

23 სექტემბერი, 2020


თბილისი, საქართველო.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	55,994	65,830
თვითღირებულება	6	(50,683)	(61,707)
საერთო მოგება		5,311	4,123
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	497	685
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(319)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(609)	(656)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(1,587)	(1,489)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა (გაუფასურება)	15	31	(493)
საოპერაციო მოგება		3,643	1,851
ფინანსური შემოსავალი	10	558	411
ფინანსური ხარჯი	11	(1,365)	(1,214)
ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	12	(612)	(405)
მოგება დაზღვევამდე		2,224	643
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,224	643

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


კონსტანტინე წირღავა
გენერალური დირექტორი

ნინო ბალატურია
მთავარი ბუღალტერი

შპს „კავკასი მეტალი“

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	55,994	65,830
თვითღირებულება	6	(50,683)	(61,707)
საერთო მოგება		5,311	4,123
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	497	685
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(319)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(609)	(656)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(1,587)	(1,489)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა (გაუფასურება)	15	31	(493)
საოპერაციო მოგება		3,643	1,851
ფინანსური შემოსავალი	10	558	411
ფინანსური ხარჯი	11	(1,365)	(1,214)
ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	12	(612)	(405)
მოგება დაბეგვრამდე		2,224	643
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,224	643

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

კონსტანტინე წირღვავა
გენერალური დირექტორი

ნინო ბალათურია
მთავარი ბუღალტერი

შპს „კავკას მეტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	5,243	3,093
საინვესტიციო ქონება		117	123
გუდვილი		164	191
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,524	3,407
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14	13,520	13,486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5,992	3,172
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	13,457	10,140
სულ მიმდინარე აქტივები		32,969	26,798
სულ აქტივები		38,493	30,205
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		444	444
გაუნაწილებელი მოგება		12,082	9,858
სულ კაპიტალი		12,526	10,302
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	2,480	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,480	-
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		189	291
მოკლევადიანი სესხები	17	12,466	11,984
სავაჭრო ვალდებულებები	18	10,832	7,628
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,487	19,903
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,493	30,205

შპს „კავკას მეტალი“

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	444	9,215	9,659
მიმდინარე წლის მოგება		643	643
31 დეკემბერი 2018	444	9,858	10,302
მიმდინარე წლის მოგება		2,224	2,224
31 დეკემბერი 2019	444	12,082	12,526

შპს „კავკასი მეტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	2,224	643
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	316	310
საპროცენტო ხარჯი	1,365	1,214
საპროცენტო შემოსავალი	(558)	(411)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი/(შემოსავალი)	(31)	493
საკურსო სხვაობების ეფექტი	612	405
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	3,928	2,654
ცვლილებები საქონელში	(34)	(2,275)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(2,789)	(432)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(102)	(34)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,925	3,312
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	3,928	3,225
გადახდილი პროცენტი	(758)	(803)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,170	2,422
საინვესტიციო აქტივობები:		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(2,432)	(560)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,432)	(560)
ფინანსური აქტივობები		
სესხის დაფარვა	(8,204)	(8,679)
სესხის აღება	10,216	13,725
მიღებული პროცენტი	558	411
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	2,570	5,457
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	3,308	7,319
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	10,140	2,658
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	9	163
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	13,457	10,140

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

კავკას მეტალი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205282308.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეტალით და სამშენებლო მასალებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #36.. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს ქიზიყის ქ. #12-ში, ხოლო კომპანიას გააჩნია რამდენიმე გაყიდვის წერტილი: თბილისში ორი და ბათუმში ერთი ობიექტი.

ჯგუფის სტრუქტურა. 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანია შემდეგი საწარმოს (ერთად ჯგუფი) წილს ფლობდა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილი/ხმის უფლება (%)	
		2019	2018
შპს „თანადგომა 1“	უძრავი ქონების მართვა	100%	100%

შპს „თანადგომა-1“ ფლობს უძრავ ქონებას და გასცემს იჯარით დედა კომპანიაზე.

დედა კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და მის შემდგომაც კომპანიის მეწილე არ შეცვლილა და მის 100%-ს ფლობს კონსტანტინე წირღვაძე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. როგორც ეს განმარტებულია 21-ე შენიშვნაში კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა კორონა ვირუსის Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
		აშშ დოლარი	ევრო	100 რუსული რუბლი
კურსი 2019	წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	4.6423
კურსი 2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.8588

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-10
ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და გუდვილს ამორტიზირება ერიცხება წრფივი მეთოდით მაქსიმუმ 10 წლის ვადით.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ. ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის

მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

„კომპანიის“ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება „კომპანიის“ წესდებით. „კომპანიის“ წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით. წილის ნომინალური ღირებულებაზე ნამეტო აღიარდება საემისიო კაპიტალად.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც ჯგუფი რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

ა) კომპანია შესაძლებელს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმდევრა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2019	2018
ამონაგები არმატურის რეალიზაციიდან	43,886	49,252
ამონაგები გლინულის რეალიზაციიდან	5,781	10,307
ამონაგები სხვადასხვა რეალიზაციიდან	6,327	6,271
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	55,994	65,830

6. თვითღირებულება

	2019	2018
გაყიდული არმატურის თვითღირებულება	(40,368)	(47,033)
გაყიდული გლინულის თვითღირებულება	(5,405)	(9,675)
გაყიდული სხვადასხვა საქონლის თვითღირებულება	(4,910)	(4,999)
სულ თვითღირებულება	(50,683)	(61,707)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
მიღებული გრანტები	474	149
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	23	536
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	497	685

მშობელი კომპანია სარგებლობს აწარმოე საქართველოს პროგრამით, რაც ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებისთვის აღებული სესხის პროცენტის სუბსიდირებას სახელმწიფოს მხრიდან სესხის აღებიდან ორი წლის განმავლობაში მაქსიმუმ წლიური 10%-ის მოცულობით. სესხის პროცენტის სუბსიდირება წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ გრანტს და აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსულობად.

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(267)	(286)
ცვეთა და ამორტიზაცია	(158)	(161)
ტრანსპორტირების ხარჯი	(91)	(117)
საწვავის ხარჯი	(84)	(79)
საიჯარო ქირა	(9)	(13)
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(609)	(656)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(925)	(1,044)
საკონსულტაციო ხარჯები	(110)	(130)
საიჯარო ქირა	(158)	(149)
ცვეთა და ამორტიზაცია	(64)	(27)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(50)	39
კომუნალური ხარჯები	(25)	(12)
საწვავის ხარჯი	(19)	(22)
კომუნიკაციის ხარჯები	(19)	(13)
სხვა ხარჯები	(217)	(131)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,587)	(1,489)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ფინანსური შემოსავალი

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი აკუმულირდება ბანკში მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტიდან.

11. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
პროცენტის ხარჯი საბანკო სესხებზე	(644)	(503)
პროცენტის ხარჯი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ სესხებზე	(721)	(711)
სულ ფინანსური ხარჯები	(1,365)	(1,214)

12. ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან

	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(279)	(469)
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9	163
მოკლევადიანი სესხები	(342)	(99)
სულ საკურსო მოგება/(ზარალი)	(612)	(405)

შპს „კავკას მეთალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და კომპიუტერული ტექნიკა	ტრანსპორტი	სულ ძირითადი საშუალებები
2018 წლის 1 იანვარი	723	50	1,072	1,252	86	383	3,566
შემოსვლა	10	479	44	2	2	24	561
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	733	529	1,116	1,254	88	407	4,127
შემოსვლა	19	694	561	1,176	7	-	2,457
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(20)	-	-	(15)	(35)
2019 წლის 31 დეკემბერი	752	1,223	1,657	2,430	95	392	6,549
დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის 1 იანვარი	-	-	(173)	(439)	(38)	(108)	(758)
ცვეთის ხარჯი	-	-	(48)	(163)	(10)	(55)	(276)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(221)	(602)	(48)	(163)	(1,034)
ცვეთის ხარჯი	-	-	(65)	(161)	(9)	(47)	(282)
გასვლა	-	-	-	-	-	10	10
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(286)	(763)	(57)	(200)	(1,306)
საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 1 იანვარი	723	50	899	813	48	275	2,808
2018 წლის 31 დეკემბერი	733	529	895	652	40	244	3,093
2019 წლის 31 დეკემბერი	752	1,223	1,371	1,667	38	192	5,243

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფს დაუმთავრებელი მშენებლობა აქვს ბათუმსა და თბილისში. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, მშობელი კომპანია აშენებს საწყობს, რომლის მშენებლობაც დაიწყო 2017 წელს. თბილისში მიმდინარე მშენებლობა წარმოადგენს მავთულის წარმოებისა და შემდგომ მისი განვლიზაციის პროექტს, რომელიც მდებარეობს რუსთავის გზატკეცილზე. აღნიშნული საწარმოს მშენებლობა დაიწყო 2018 წელს.

14. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საქონელი	13,215	12,626
მზა პროდუქცია	287	848
სხვა საწარმოო მარაგი	18	12
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	13,520	13,486

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	5,476	3,884
გადახდილი ავანსები	1,326	287
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	161	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25	28
სულ სავაჭრო მოთხოვნები	6,988	4,199
უიმედო ვალების რეზერვი	(996)	(1,027)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,992	3,172

უიმედო და საექვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	სულ
1 იანვარი 2018	(520)	(14)	(534)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის ცვლილება	(480)	(13)	(493)
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(1,000)	(27)	(1,027)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის ცვლილება	65	(34)	31
ჩამოწერილი მოთხოვნების ამოღება	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(935)	(61)	(996)

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	8,712	1,877
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,654	8,263
ფულის სხვა ნაშთები	2,091	-
სულ ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	13,457	10,140

შპს „კავკასი მეტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრისათვის მშობელ კომპანიას აქვს 2,091 ათასი ლარის ოდენობის შეზღუდული ფული, რაც წარმოადგენს აკრედიტვისა და საბანკო გარანტიის მიღების მიზნით ბანკის მიერ დაბლოკილ თანხებს. აღნიშნული შეზღუდვა მთლიანად მოიხსნა 2020 წლის განმავლობაში.

17. სესხები

გრძელვადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	%	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სს "ბაზის ბანკი	11.5%	ლარი	2,480	-
მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	%	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს "კონცერნი კოდაკო"	13.0%	ლარი	4,347	4,023
კომპანიის მეწილე	10.0%	აშშ დოლარი	3,745	2,928
სულ მოკლევადიანი სესხები დაკავშირებულ მხარეებთან			8,092	6,951
მოკლევადიანი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან				
სს "თიბისი ბანკი"	11.5%	ლარი	4,374	5,033
სულ მოკლევადიანი სესხები			12,466	11,984

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი წარმოადგენს მშობელი კომპანიის მიერ სს თიბისი ბანკისგან მიღებულ დაფინანსებას. 2018 წლის 13 სექტემბერს ბანკთან გაფორმდა საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების და საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება 5,000 ლარზე, რომლის ფარგლებში მიღებული სესხები უზრუნველყოფილია მშობელი კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, რომლის საბალანსო ღირებულება წარმოადგენს 118 ლარს.

აღნიშნული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში მშობელ კომპანიას დაევალა გარკვეული ფინანსური და არაფინანსური პირობების დაკმაყოფილება.

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულება	სტატუსი
კომპანიის ნეტო სამუშაო კაპიტალის ცვლილება არ უნდა იყოს ნეგატიური	დაკმაყოფილებულია
ICR კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 2.0 დონეზე.	დაკმაყოფილებულია
სასესხო ვალდებულებამ არ უნდა შეადგინოს EBITDA-ს 300%-ზე მეტი	დარღვეულია
EBITDA-ს მინიმალური მარჟა უნდა განისაზღვრის 6.5%-ით.	დაკმაყოფილებულია

ჯგუფი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ ასრულებდა სასესხო ვალდებულებისა და EBITDA-ს თანაფარდობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებას. შესაბამისი სესხი კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე.

მშობელმა კომპანიამ 2019 წლის ბოლოს მიიღო სესხი ბაზის ბანკიდან, სესხის თანხა 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებულია მიმდინარე საბანკო ანგარიშზე.

18. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	7,976	5,712
მიღებული ავანსები	2,272	1,247
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული ავანსები	151	266
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	433	403
სულ სავაჭრო ვალდებულებები	10,832	7,628

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდში ჰქონდა სასამართლო დავა სადაც ჯგუფი წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს. აღნიშნული დავა დაკავშირებულია შვილობილი კომპანიის შპს „თანადგომა - 1“-ის ყოფილი დამფუძნებლების საქმიანობის პერიოდთან.

კომპანია თანადგომა-1-მა 2012 წლის 17 დეკემბერს პარტნიორის გადაწყვეტილებით მოახდინა საკუთარი უძრავი ქონების კომპანიასთან არადაკავშირებულ პირსა და ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების თავდებობის მიზნით იპოთეკით დატვირთვა. ფიზიკური პირის მიერ მოხდა აღნიშნული სესხის პირობების დარღვევა, რის შედეგადაც ბანკმა 2017 წელს სასამართლო სარჩელის გზით მოითხოვა უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების მიმართვა ვალდებულების დასაფარად. ჯგუფის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ვალდებულება აღიარდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გახდება ცნობილი.

მაქსიმუმი ზარალი ჯგუფისთვის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოადგენს უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივის საბაზრო ღირებულებას.

ამ აქტივის საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 646 ლარს.

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე, ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებია:

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს „კოდაკო“*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	4,347	4,023
შპს „მონოლითი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	151	266
კონსტანტინე წირღვავა	კომპანიის მეწილე	3,702	2,885

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კავშირის სახე		2019	2018
	ფინანსური ხარჯი	436	436
საერთო კონტროლს	ამონაგები	188	104
დაქვემდებარებული	სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	17
	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	165	212

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის მეწილე	ფინანსური ხარჯი	285	276
	ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	188	89

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	224	223

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, კომპანიამ დროულად განიხილა და გადახედა ორგანიზაციის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობა ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ჯგუფი არ განიხილავს COVID-19-ს ფინანსური ანგარიშგების მაკორექტირებელ მოვლენად და შესაბამისად გავლენა არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. პანდემიას არ ქონია უშუალო გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე თუმცა მნიშვნელოვნად გაართულა თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი ტრანსპორტირება სამუშაო ადგილებამდე. კომპანია პანდემიის გამო სპეციალური ზომების მიღებისთანავე თანამშრომლობს და იცავს დაწესებულ მოთხოვნებს და რეკომენდაციებს რათა უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომლების და კლიენტების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მენეჯმენტი მიიჩნევს რომ პანდემიას ექნება უარყოფითი ეფექტი იმ დონით რა დონითაც იმოქმედებს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე. მენეჯმენტს მომზადებული აქვს განახლებული კრიზისული ბიუჯეტი და არ მოელის შეფერხებებს ვალდებულებების დროულად გასტუმრების ან საოპერაციო საქმიანობის მართვის პროცესში.

**შპს „კავკას მეტალის“
კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „კავკას მეტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს კავკას მეტალი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის გენერალური დირექტორია კონსტანტინე წირღვავა.

შპს „კავკას მეტალის“ 100% წილის მფლობელია კონსტანტინე წირღვავა.

შპს „კავკას მეტალი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიაში წილს (შემდგომში ჯგუფი) :

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „თანადგომა 1“	საიჯარო მომსახურება	100%

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

შპს „კავკას მეტალი“ (მშობელი კომპანია)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლითონებით საბითუმო ვაჭრობა. წარმოება/გარდქამნისთვის კომპანიას მომსახურებას უწევს დაკავშირებული (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული) მხარე, შპს „მონოლითი“. შპს „კავკას მეტალის“ პროდუქცია იყიდება საქართველოში, თუმცა კლიენტის სურვილისამებრ შეუძლია მეტალების ექსპორტიც, რის წარსულ გამოცდილებასაც ფლობს კომპანია. კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. შპს „კავკას მეტალი“ ბიზნესსაქმიანობას წარმართავს შემდეგ ლოკაციებზე:

ფილიალები

- თბილისი, ქიზიყის ქუჩა #12
- თბილისი, ფონიჭალა რუსთავის გზატ #36
- ბათუმი, ხიმშიაშვილის და ლერმონტოვის ქუჩების მიდებარე ტერიტორია

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
შემოსავალი არმატურის რეალიზაციიდან	43,886	49,252
შემოსავალი გლინულის რეალიზაციიდან	5,781	10,307
სხვა	6,327	6,271

თანადგომა 1

შპს „თანადგომა 1“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშობელი კომპანიისთვის ქიზიყის ქუჩა #12-ში არსებული ფართის იჯარა. კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონება.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო კონსტანტინე წირღვავა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 55,994 ლარი, რაც 14.9%-ით ჩამორჩება 2018 წლის ანალოგიურ მონაცემს. არსებული შემცირება ძირითადად გამოწვეულია მშობელ კომპანიაში რეალიზაციის შემცირებით, რაც დაკავშირებულია ბაზარზე კონკურენციის გამწვავებასთან.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:	2019	2018
სულ შემოსავალი	55,994	65,830
სულ აქტივები	38,493	30,205
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	58	56
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	0.83	0.68
მარაგების ბრუნვა (დღე)	96.95	73.09
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	77.77	45.15
დებიტორების ბრუნვა (დღე)	39.06	17.59
უკუგება კაპიტალზე	17.76%	6.30%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „კავკას მეტალის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 56-დან 62-მდე, ხოლო ჯგუფში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 58 თანამშრომელს. ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „კავკას მეტალი“ პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. ჯგუფი განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ძირითად მომწოდებელს წარმოადგენს “Ferrous Trade Group” Limited, რომელიც უკრაინული კომპანია „კრივოი როვის“ აგენტია საქართველოში. გარდა ამისა ურთიერთობს შემდეგ კომპანიებთან: „METINVEST-SMC LLC“, “ YUCELBORU IHRACAT ITHALAT VE PAZARLAMA A.S. ”, “ ERBOSAN ERCIYAS BORU SANAYII VE TICARET A.S. ”, Metalotorg და შპს „რუსთავის ფოლადი“. შპს „კავკას მეტალს“ ძირითად მომწოდებელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია წლის განმავლობაში მოსაწოდებელი პროდუქციის სავარუდო მოცულობა.

შპს „კავკას მეტალის“ ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ მსხვილი სამშენებლო კომპანიები, როგორებიცაა: შპს „იქსორი“, შპს „Lamini-G“, შპს „MBG“, შპს „მეტალ თრეიდი“, შპს „ევროცემენტი“.

კომპანია აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს და სწავლობს მომხმარებლის განწყობას.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. ჯგუფმა ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა 2017 წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი სასაწყობო მეურნეობების დამატება: 2018 წელს დაიწყო ქ. ბათუმში ახალი სასაწყობო ანგარის მშენებლობა, რომლის მშენებლობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ დასრულებულა.

ახალი პროდუქციის დამატება: მშობელმა კომპანიამ დაიწყო ახალ ლოკაციაზე მავთულის წარმოების და შემდგომ მისი გაღვანიზაციის საწარმოო ხაზის მშენებლობა, ახალი პროდუქციის გამოშვება დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაში.

ახალი ბაზრების ათვისება: კომპანია გეგმავს რეგიონში გაღვანიზირებული პროდუქციით ექსპორტზე გასვლას.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საწარმო სიმძლავრეების განვითარება: 2020 წელს კომპანია გეგმავს მავთულის ახალი საწარმოო ხაზის დანერგვას და მოთუთიებული პროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	55,994	65,830	შენიშვნა 1
თვითღირებულება	(50,836)	(61,707)	შენიშვნა 1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,992	3,172	შენიშვნა 2
ფული და ფულის ექვივალენტები	13,457	10,140	შენიშვნა 3
სავაჭრო ვალდებულებები	10,832	7,628	შენიშვნა 4

შენიშვნა #1

დედა კომპანიამ 2019 წელს აქცენტი გააკეთა არა რეალიზებული საქონლის რაოდენობაზე, არამედ მაღალ მარჟაზე, რის გამოც მას შემოსავალი შეუმცირდა, თუმცა გაზრდილია გროს მოგება (%).

შენიშვნა #2

კომპანიის მოთხოვნები გაზრდილია გადახდილი ავანსების ხარჯზე.

შენიშვნა #3

კომპანიამ 2019 წლის ბოლოს აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან, რამაც გაზარდა წლის ბოლოს ნაღდი ფულის ნაშთი.

შენიშვნა #4

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებების ზრდა უკავშირდება ერთ-ერთ მომწოდებელთან გაზრდილ დავალიანებას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ერთეული აშშ დოლარი	4,763.50	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.10%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310.80	1,265.2
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

გლობალური პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

ჯგუფი ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა რთულია ჯგუფის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება და შეფასება.

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გავლენა იქონია ჯგუფის საქმიანობაზე და წარმოშვა მნიშვნელოვანი ბიზნეს რისკები რაც მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ეფექტურ მართვას.

2020 წლის გაზაფხულზე დაწესებული შეზღუდვების გამო ჯგუფს არ შეუძლია საქმიანობა არც ერთი მიმართულებით, მენეჯმენტი ყოველდღიურ რეჟიმში უწყევდა მონიტორინგს არსებულ გამოწვევებს და აუცილებელ საპასუხო ქმედებებს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები რაც იყო დაკავშირებული თანამშრომლების უსაფრთხო გადაადგილებასა და კლიენტების შეუფერხებელ მომსახურებასთან. მენეჯმენტის შეფასებით ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანებს რამაც შესაძლებელი გახადა ჯგუფის შეუფერხებელი მუშაობა.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა ჯგუფს არ შექმნია პრობლემა ვალდებულებების დროულად გასტუმების მხრივ და კონტრაქტებისა თუ თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვა ხდებოდა შეუფერხებლად სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია და მისი ეფექტი წარმოადგენს ბალანსის თარიღის შემდეგ მომხდარ არამაკორექტირებელ მოვლენას, ამ ფაქტს არ მოუხდენია გავლენა წლის შედეგსა და წლის ბოლოსთვის არსებულ ნაშთებზე. მენეჯმენტის შეფასებით მოკლევადიან პერსპექტივაში ჯგუფის წინაშე არ დგას კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაულახავი პრობლემები.

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საკონტრაქტო/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. დედა კომპანია მსხვილ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები


გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რაც წარმოიქმნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, ხოლო მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს:



კონსტანტინე წირღვა
გენერალური დირექტორი



ნინო ბადათურია
მთავარი ბუღალტერი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები

გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რაც წარმოიქმნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, ხოლო მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს:

კონსტანტინე წირღვავა
გენერალური დირექტორი

ნინო ბაღათური
მთავარი ბუღალტერი